

№ გ-22-05/2032
25/08/2022

2032-გ-22-05-2-202208251445



მოქალაქე მირანდა თეთრაძეს

თქვენს მიერ 2022 წლის 22 აგვისტოს წერილით (შ-22-9/3109) გამოთხოვილია ინფორმაცია საქართველოს რეგიონებში, დიდი ქალაქებში და თვითმართველ ქალაქებში ფიქსირებული ინტერნეტის პენეტრაციების შესახებ. რეგიონების მიხედვით პენეტრაციები თქვენ გამოგეგზავნათ. ასევე გეცნობათ, რომ ქალაქების მიხედვით პენეტრაციებს თქვენს მიერ მოთხოვნილ სახით კომისიაში არ არის დაცული. თუმა ქალაქების მიხედვით მთელი რიგი საკმაოდ დეტალიზებული მონაცემები ხელმისაწვდომია კომისიის ანალიტიკურ პორტალზე ელექტრონული ფორმით, საიდანაც შეგიძლიათ დაამუშაოთ მონაცემები თქვენთვის სასურველი სახით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მ) ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად (მაგალითისთვის იხ. სუს 2010 წლის 5 ივლისის ბს-1278-1240 (კ-08), 2017 წლის 26 სექტემბრის Nბს-494-491(კ-17) გადაწყვეტილებები) „ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არსებობს მაშინ, თუ მას გააჩნია მატერიალური ხასიათი და დაცულია საჯარო დაწესებულებაში, ამასთან, მისი ამ

სახით მოძიებისა და შექმნის ვალდებულება უნდა გააჩნდეს კონკრეტულ საჯარო დაწესებულებას“.

თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია კი, თქვენს მიერ მოთხოვნილი სახით, როგორც Nგ.22-05/1982 წერილითაც გაცნობეთ, კომისიაში არ არის დაცული, ამასთან კომისიას არ გააჩნია აღნიშნული სახით ინფორმაციის დამუშავების ვალდებულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია თქვენს მიერვე მოთხოვნილი სახით.

ვახტანგ აბაშიძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

